განახლებულია: 30.09.2024

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ეკონომიკა/Economics |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ეკონომიკის მაგისტრი/Master of Economics |
| პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი | ნათელა წიკლაშვილი, პროფესორი, ელ.ფოსტა: natia.tsiklashvili@bsu.edu.ge<br>მურმან ცეცხლაძე, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: murman.Tsetskhladze@bsu.edu.ge |
| პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა,<br>სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1) | 120 ECTS |
| სწავლების ენა | ქართული ენა |
| საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო ენა - B2 დონე და სპეციალობა;<br>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა;<br>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | ✓ მოამზადოს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნის, ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებების, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის სპეციალისტი;<br>✓ ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ანალიტიკური ეკონომიკური აზროვნება, შეასწავლოს რაციონალური გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების ტექნოლოგია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების და სამეწარმეო გარემოს განვითარების სტრატეგიების შესამუშავებლად;<br>✓ კურსდამთავრებულმა შეძლოს მიკროეკონომიკის თეორიის თანამედროვე მიღწევების, ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენება ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებისას. |
| სწავლის შედეგები | ✓ მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე აანალიზებს საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოვლენებსა და პროცესებს, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში წარმოქმნილ პრობლემებს და შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს საერთაშორისო ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით;<br>✓ აფასებს ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს თვისობრივი და რაოდენობრი მეთოდებით; განსაზღვრავს მაკროეკონომიკური არასტაბილურობის დაძლევის გზებს;<br>✓ ახდენს ფირმის წარმოების მოცულობის ანალიზს, ადგენს დანახარჯსა და მოგებას შორის ურთიერთმიმართებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაწყვეტის გზები გამოკვეთას;<br>✓ იღებს მენეჯერულ გადაწყვეტილებებს კონკურენტულ ბაზრებზე და იყენებს ფასდადების პრაქტიკას საბაზრო ძალაუფლების მქონე ბაზრებზე. |